

## განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2012 წლის ფინანსური

ანგარიშგების აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე

კონკურსის გამოცხადების შესახებ

### ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, 2013 წლის 15 აპრილამდე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68)

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელერადიო-მაუწყებლობის სფეროში.
- აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა თანამდებობა და კვალიფიკაციის დონე.
- აუდიტორულმა კომპანიამ უაუდიტო უნდა ჩაატაროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 15 000 (ათი ათასი) ლარს დ.დ.გ-ს ჩათვლით.
- აუდიტორული კომპანიის წერილი, რომ მას გათვითცნობიერებული აქვს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი.

### წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

გთხოვთ, თქვენი წინადადებები წარმოგვიდგინოთ 2013 წლის 1 მარტის 16:00 საათამდე, სადაც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2013 წლის 6 მარტამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

### საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების წარმოშობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს:

ნათია ზამთარაძე - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ტელ: (995 32) 409 145

კახაბერ სონიშვილი - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ტელ: (995 32) 409 244

ლევან გახელაძე  
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე